MES 6 20 0000631441

24/07/2020

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

1. **დავით მალაზონია -** შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **გიორგი გიგიბერია -** ა(ა)იპ - ფონდ საერთაშორისო განათლების ცენტრის პროგრამების მენეჯერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნატალია შანიძე -** შპს „ათასწლეულის სკოლის“ მათემატიკის კათედრის ხელმძღვანელი, მათემატიკის მასწავლებელი - საბჭოს მდივანი;
4. **ქეთევან ნატროშვილი** - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე;
5. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ მასწავლებელი;
6. **ირმა ბარბაქაძე -** შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
7. **ავთანდილ აბდუშელიშვილი -** შპს „დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას“ დირექტორი;
8. **კახაბერ ფარცვანია** - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი;
9. **არჩილ სუმბაძე** - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლის - თბილისის“ აკადემიური დირექტორი, სამოქალაქო განათლების მასწავლებელი;
10. **გრიგოლ მურღულია** - ა(ა)იპ - საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის დამფუძნებელი და თავმჯდომარე;
11. **რევაზ აფხაზავა** - ა(ა)იპ განათლების პოლიტიკის დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე;

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი;
ნათია მჭედლიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს მეცნიერებათა სკოლა
სკოლის დირექტორი - სოფიო სუხიშვილი
იურისტი - ივანე ბალახაშვილი

ა(ა) იპ ჩვენი სკოლა
სკოლის დირექტორი - ქეთევან სიხარულიძე
იურისტი - თათია ზარქუა

შპს თბილისის საერთაშორისო სკოლა
სკოლის დირექტორი - მარგალიტა კუპრაშვილი
სასწავლო ნაწილის გამგე - ნათია გოგუციძე
იურისტი - თათია ზარქუა

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტ ები):

შპს მეცნიერებათა სკოლა
ქეთევან ბაცანკალაშვილი
მარინე ჯანაშვილი

ა(ა) იპ ჩვენი სკოლა
ირინა დვალი
ცირა ნიკოლაშვილი

შპს თბილისის საერთაშორისო სკოლა
ეკატერინე კვირიკაშვილი
სერგო დურგლიშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდება ონლაინ რეჟიმში.

სხდომა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში (Zoom - ის საშუალებით) 2020 წლის 10 ივლისს, 12:00 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ

ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:
1. შპს მეცნიერებათა სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. ა(ა) იპ ჩვენი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს თბილისის საერთაშორისო სკოლის მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
4. 2020 წლის 01 ივნისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების N422950 სხდომის ოქმის მე- 3 ნაწილში არსებული ტექნიკური ხასიათის შეცდომის კორექტირება.

ამის შემდეგ მან მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
შუამდგომლობა არ იქნა წარდგენილი ამიტომ დამტკიცდა წარმოდგენილი დღის წესრიგი.
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

1. შპს მეცნიერებათა სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ

ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა და მარინე ჯანაშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.
1.1. საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა დავით მალაზონიამ დასაწყისშივე აღნიშნა, რომ იცნობდნენ დასკვნას და მიმართა ექსპერტებს ძირითად მიგნებებზე ესაუბრათ.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტი განხორციელდა ამა წლის 11, 12 ივნისს, ქალაქ გორში. დაწესებულებამ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინა ფართის ცვლილების შესახებ განაცხადი, შესაბამისად, ექსპერტებს განსაზღვრული ჰქონდათ დაწესებულების მატერიალური რესურსების სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება.

ექსპერტის განცხადებით, შპს მეცნიერებათა სკოლას, 2019 წლის 01 ივლისს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N 26 გადაწყვეტილებით, 6 წლის ვადით მიანიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებამ ავტორიზაცია მიიღო ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N 9 ა-ში მდებარე ფართზე. ექსპერტ ქეთევან ბაცანკალაშვილის განმარტებით, დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლამ თბილისში მხოლოდ რამდენიმე თვე იმუშავა, რის შემდეგაც დამფუძნებელმა, სხვადსხვა დასაბუთებული მიზეზის გამო, უმჯობესად მიიჩნია საგანმანათლებლო საქმიანობა გაეგრძელებინა ქალაქ გორში. ექსპერტის თქმით, საფუძვლიანი მოკვლევის შედეგად, სკოლის მესვეურებმა დადგინეს, რომ გორის რაიონში არ იყო ისეთი კერძო სკოლა, რომელიც მოსწავლეებს შესთავაზებდა შპს მეცნიერებათა სკოლის მსგავს სასწავლო პროგრამას, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სიღრმისეულ სწავლებას, ტრასნპორტირებას, ორჯერად კვებასა და გახანგრძლივებული სწავლების მომსახურებას. გარდა ამისა, სკოლის დამფუძნებელი და მისი ოჯახი წარმოშობით ქალაქ გორიდან იყო. მათ ჰქონდათ სხვადასხვა საგანმანთლებლო დაწესებულების მართვის დიდი გამოცდილება გორის რაიონში და მიიჩნევდნენ, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის გადატანა აღნიშნულ ტერიტორიაზე წარმატებული ნაბიჯი იქნებოდა.

ექსპერტის განხცადებით, სკოლის მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა იყო 345 მოსწავლე, 2019-2020 სასწავლო წელს დაწესებულებაში მოსწავლეები არ ირიცხებოდნენ. სკოლაში მიმდინარეობდა მოსწავლეთა მიღება 2020-2021 სასწავლო წლისათვის.

ექსპერტის განცხადებით დაწესებულებას 2020 წლის 6 იანვარს გაფორმებული ჰქონდა იჯარის უვადო ხელშეკრულება შპს ევრორეგიონულ სასწავლო უნივერსიტეტთან. ორივე დაწესებულების დამფუძნებელი და დირექტორი იყო ერთი და იგივე პიროვნება, სოფიო სუხიშვილი.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელშიც ფიქსრიდებოდა ერთი შენობა-ნაგებობა (2521,70 კვ.მ) და მიწის ნაკვეთი, რომლის დაზუსტებული ფართობი იყო 8012 კვ.მ. სკოლის სამსართულიანი შენობა-ნაგებობა განთავსებული იყო გალავნით დაცულ, გამწვანებულ ეზოში. შენობას ჰქონდა 1 ცენტრალური შესასვლელი წინა ეზოდან და 1 გასასვლელი უკანა ეზოში. ექსპერტის თქმით, დაწესებულებას ასევე ჰქონდა ეზო შენობის უკან და გვერდით მხარეს. გვერდით ნაკვეთში იგეგმებოდა გარე მოედნის მოწყობა, ხოლო უკანა ეზოს ათვისება მოხდებოდა სხვადასხვა მცენარეული კულტურის მოშენებითა და მოვლით. ექსპერტის განმართებით, აღნიშნული საქმიანობა მიზნად ისახავდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პრაქტიკული ნაწილის გაძლიერებას და მოსწავლეთათვის გარემოზე ზრუნვის უნარების განვითარებას. ექსპერტის თქმით, მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სკოლის წინა ეზო შიდა ღობით იყო გამიჯნული სკოლის უკანა და გვერდითა ნაკვეთისაგან.

ექსპერტის განცხადებით, ქონების ნაწილის ფლობის დადასტურებად, სკოლამ წარმოადგინა შპს ევრორეგიონულ სასწავლო უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულება მოძრავი ქონების უზუფრუქტით გადაცემის შესახებ.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულების წარმომადგენლებს მიეცათ განმარტება იმის შესახებ, რომ სამოქალაქო კოდექსის 242-ე მუხლის თანახმად, უზუფრუქტის ცნება ეხებოდა მხოლოდ უძრავი ნივთის / ქონების სხვა პირისათვის სარგებლობაში გადაცემას. რის შემდეგაც, დაწესებულების წარმომადგენლებმა, ვიზიტის მიმდინარეობის დროს, გააფორმეს ნასყიდობის ხელშეკრულება შპს ევრორეგიონულ სასწავლო უნივერსიტეტთან და წარმოადგინეს აღნიშნული ქონების მიღება-ჩაბარების აქტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად არ ჩათვალეს მოცემული ხარვეზები ყოფილიყო შპს მეცნიერებათა სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 11

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს მეცნიერებათა სკოლის **(ს/კ 405317982)**ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. ა(ა) იპ ჩვენი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ირინა დვალმა და ცირა ნიკოლაშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

2.1. ექსპერტის განცხადებით, ააიპ ჩვენი სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ჩუბინაშვილის 42-ში. საქართველოს მთავრობის განკარგულებით, სსიპ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას მიეცა თანხმობა, რომ აღნიშნულ მისამართზე მის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობიდან 400 კვ. მ. ფართი შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 წლის ვადით აუქციონის გარეშე, უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით გადაეცა ააიპ ჩვენი სკოლისთვის.

ექსპერტის განმარტებით, სკოლასა და სახელმწიფო კონსერვატორიას შორის გაფორმებული მემორანდუმით, სკოლა სარგებლობდა შენობის პირველ სართულზე არსებული სპორტული დარბაზით (80.22 კვ.მ.), შენობის მეორე სართულზე არსებული ბიბლიოთეკით, ფონოტეკისა და ვიდეოთეკის ოთახებით, პირველ სართულზე არსებული სააქტო დარბაზითა და სასადილოთი.

2.2. ექსპერტის განცხადებით, სკოლის საათობრივ ბადეში წარმოდგენილი იყო ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა სავალდებულო და არჩევითი საგანი, ასევე, სამუსიკო საგნები ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი სავალდებულო საგნების სტატუსით. ექსპერტის თქმით, სკოლას ჰქონდა მუსიკის სწავლების თავისი ინდივიდუალური საგნობრივი პროგრამა. აღნიშნულთან დაკავშირებით, სკოლამ წარმოადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობა, მუსიკასთან დაკავშირებული საგნების სწავლება განხორციელებულიყო სკოლის მიერ წარდგენილი სქემის მიხედვით.

2.3. ექპერტის განცხადებით, მასწავლებლები ჩართულნი იყვნენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. სკოლაში მოქმედებდა მასწავლებელთა შეფასების ჯგუფი. სკოლას შემუშავებული ჰქონდა ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმი, რომლის მიხედვით თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას უზრუნველყოფდა დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში.

ექსპერტის თქმით, სკოლაში იყო დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობდა სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენასა და პასუხისმგებლობის გადანაწილებას.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ იმსჯელა და მიიჩნია, რომ დაწესებულება აკმაყოფილებდა ავტორიზაციის ყველა სტანდარტს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ააიპ ჩვენი სკოლის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 158 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 25-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, ააიპ ჩვენ სკოლას (ს/კ: 404856544) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი,

დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 158 - ით.

3. შპს თბილისის საერთაშორისო სკოლის მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა და სერგო დურგლიშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

3.1. ექსპერტმა ეკატერინე კვირიკაშვილმა ისაუბრა დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებზე. მან აღნიშნა, რომ სკოლის ადმინისტრაცია იყო ღია და ზედმიწევნით კონსტრუქციული, გამოხატავდნენ კეთილგანწყობას და მზაობას სიახლეებისადმი, მყისიერად რეაგირებდნენ გამოწვევებზე, რაც ინტერვიუს დროს დაადასტურეს როგორც მასწავლებლებმა, ასევე მშობლებმა და მოსწავლეებმა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არ იყვნენ ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. ექსპერტმა აღნიშნა, რომსკოლას მიეცა რეკომენდაცია მასწავლებლების შერჩევის პროცედურები გაწერილიყო და განხორციელებულიყო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3.2. ექსპერტ სერგო დურგლიშვილის განცხადებით, სკოლის შენობა იყო 4 სართულიანი. 2019-2020 სასწავლო წელს სასწავლო პროცესი პირველ და მეორე სართუ-ლებზე მიმდინარეობდა. ექსპერტის განმარტებით ახალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავდა სწავლა სამ სართულზე განეხორციელებინა. შენობის სამი სართული გარემონტებული იყო სრულად, ხოლო მე-4 სართულზე მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოე-ბი. ამ სამუშა-ოების დამთავ-რე-ბა იგეგმებოდა ერთი წლის შემდეგ.

ექსპერტის განცხადებით, სკოლაში 40 საკლასო ოთახი იყო, თითოეულის ფართი - 32 მ^2, ასევე, კომპიუტერული და საბუნების-მეტყველო ლაბორატორია. ექსპერტის განმარტებით, ვიზიტის დროს მიმდინარებდა სარემონტო სამუშაოები სკოლის მესამე სართულ-ზე განთავსებულ საკონფერენციო დარბაზში და მეორე კომპიუ-ტე-რულ ლაბორატორიაში. ექსპერტის აღნიშნა,რომ ამ ოთახების რემონტი დასრულდებოდა უახლოვეს დღეებში. საკლა-სო ოთახებში შესაძლებელი იყო 640 მერხის და სკამის განთავსება.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა ხომ არ ჰქონდათ კითხვები შპს თბილისის საერთაშორისო სკოლისთვის. საბჭოს წევრებმა განაცხადეს რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის საერთაშორისო სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 640-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მეშვიდე პუნქტისა და 29-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის საერთაშორისო სკოლას (ს/კ:200073623) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განესაზღვროს 640-ით.

4. 2020 წლის 01 ივნისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების N422950 სხდომის ოქმის მე-3 ნაწილში არსებული ტექნიკური ხასიათის შეცდომის კორექტირება.

2020 წლის 01 ივნისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების N422950 სხდომის ოქმის მე-3 ნაწილში არსებული ტექნიკური ხასიათის შეცდომა: *„ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება“* , შესწორდა ამ ფორმით : *„ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი“.*

არსებული ხარვეზის შესწორების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 10 ივლისი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შედეგად სხდომა 13:10 საათზე დახურულად გამოცხადდა.

ზოგადი განათლების ავტორიზაციისა და
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

ზოგადი განათლების ავტორიზაციისა და
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
შანიძე ნატალია